სტუდენტების გიოტებორგის დეკლარაცია

გიოტებორგი, 2001 წლის 25 მარტი

პრეამბულა

ჩვენ, ევროპელი სტუდენტების წარმომადგენლები, შევიკრიბეთ გიოტებორგის სტუდენტების ყრილობაზე 2001 წლის 22-25 მარტს, სადაც მივიღეთ ეს დეკლარაცია ბოლონიის პროცესის მომავლის შესახებ. ევროპელი სტუდენტების ეროვნული კავშირები (ESIB) აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და კვლავაც მიიღებენ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნაში.

1999 წლის ივნისში ევროპელი სტუდენტების ეროვნული კავშირები (ESIB) და მათი წევრები საკუთარი ინიციატივით მივიდნენ ბოლონიაში გამართულ მინისტრთა შეხვედრაზე, რომელიც შეეხებოდა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს. ორი წლის შემდეგ პრაღაში გამართულ სამიტზე ევროპელი სტუდენტების ეროვნული კავშირები (ESIB) ერთ-ერთი ძირითადი მომხსენებელი იქნება. ბოლონიის პროცესში სტუდენტების წვლილის მზარდი აღიარება შედეგია ევროპელი სტუდენტების მისწრაფებისა ხელი შეუწყონ ხარისხიან, ხელმისაწვდომ და მრავალფეროვან უმაღლეს განათლებას ევროპაში.

შესავალი

ევროპელი სტუდენტების ეროვნული კავშირები (ESIB) ევროპელი მოქალაქეებისათვის ბოლონიის პროცესს განიხილავენ საზღვრების გარეშე ევროპისაკენ გადადგმულ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად. ყველა ევროპელი სტუდენტი უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში პარიტეტულ საწყისებზე უნდა გაერთიანდეს. ამ სივრცის შექმნა ევროპული ქვეყნების საერთო მოვალეობაა და შესაბამისად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათ შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის მიზეზი არის უმაღლესი განათლების ყველა ეროვნული სისტემის გაუმჯობესება, მოწინავე გამოცდილების გაზიარებისა და ევროპულ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და სოლიდარობის ხელშეწყობის გზით.

სოციალური გავლენა

მიუხედავად იმისა, რომ ბოლონიის დეკლარაციაში ნაჩვენებია ევროპული უმაღლესი განათლების განზომილებების ძირითადი ასპექტები, მასში არ არის განსაზღვრული, თუ რა სოციალურ გავლენას მოახდენს ეს პროცესი სტუდენტებზე. უმაღლესი განათლება სტუდენტებს ისეთი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღების საშუალებას, აძლევს რომელიც მათ მომავალში როგორც პირად, ასევე პროფესიულ ცხოვრებაში გამოადგებათ. სოციალური და სამოქალაქო წვლილი უმაღლესი სასწავლებლების პირველადი ფუნქცია უნდა იყოს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი მოქმედი პირები არიან, შესაბამისად, უმაღლესი განათლების ერთობის ყველა წევრი ამ პროცესში უნდა იყოს ჩართული. სტუდენტები არ განიხილებიან როგორც მხოლოდ საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლები. აქედან გამომდინარე, მთავრობის მოვალეობაა უზრუნველყოს ყოველი მოქალაქისათვის უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა. ეს ნიშნავს სტუდენტების უზრუნველყოფას ადეკვატური დაფინანსებით სასწავლო გრანტის ფორმით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის დაფინანსებას მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი ამოცანების განსახორციელებლად.

უმაღლესი განათლების სივრცე

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ევროპის დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ევროპის განათლების სისტემის საფუძველი ყოველთვის იყო ხელმისაწვდომობა და მრავალფეროვნება, ეს ასე უნდა დარჩეს მომავალშიც. ამის შემდეგ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა პროგრამის შესადარებლობისა და გაცვლის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სამუშაოს მოცულობაზე დაფუძნებული კრედიტების სისტემის მთელ ევროპაში დანერგვა. საჭიროა აკრედიტაციის კრიტერიუმებისა და აკადემიური ხარისხების შესადარებელი სისტემის საერთო ევროპ-

ული სტრუქტურის შექმნა, რაც უზრუნველყოფს სხვა ქვეყნებსა თუ სასწავლებლებში დაგროვებული კრედიტების ტრანსფერსა და აკადემიური ხარისხის აღიარებას. აკადემიური ხარისხების ორსაფეხურიანმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს თავისუფალი და თანაბარი პირობები ყველა სტუდენტისათვის; სტუდენტის გარიცხვა მხოლოდ აკადემიური მოსწრების საფუძველზე უნდა იყოს შესაძლებელი. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს შორის. აკრედიტაცია, როგორც პროგრამათა სერტიფიცირების პროცესი, სხვა კრიტერიუმებთან ერთად ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს და გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, ხელს უწყობს რა ამ სფეროში სრულყოფასა და თანამშრომლობას, მოითხოვს სტუდენტთა, მასწავლებელთა, და მეცნიერთა ფიზიკურ მობილობას. მობილობა კარგი საშუალებაა კულტურული ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობისათვის. მობილობის ხელშემშლელი ბარიერები არსებობს არა მარტო აკადემიურ სამყაროში. უნდა მოიხსნას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ბარიერებიც. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ უცხოელი სტუდენტები ისეთივე კანონიერი უფლებებით, როგორითაც სარგებლობენ ადგილობრივი სტუდენტები. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა კი თავიანთი სტუდენტებისთვის უნდა შექმნან მობილობის პროგრამები.

უმაღლესი განათლების ნამდვილი ევროპული სივრცის შექმნის შედეგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაიზრდება მობილობა, გაუმჯობესდება სწავლების ხარისხი და ევროპული განათლება და კვლევა უფრო მიმზიდველი გახდება. ბოლონიის პროცესის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები გამჭვირვალობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ხელი უნდა შეეწყოს ძირითადი ინფორმაციის დაგროვების პროცესს. ინფორმაციის დონის გასაუმჯობესებლად საჭიროა დიპლომის დანართის დანერგვა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ყველასათვის მისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნა.

სტუდენტების როლი

და ბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სტუდენტები, როგორც კომპეტენტური, აქტიური და კონსტრუქციული პარტნიორები, ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდნენ განათლების სფეროში ცვლილებების შესატანად. ბოლონიის პროცესში სტუდენტების ჩართვა მნიშვნელოვანი ნაბიჯია სტუდენტების მუდმივი და ფორმალიზებული მონაწილეობისა ყველა იმ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და სადისკუსიო ფორუმებში, რომელიც შეეხება ევროპაში უმაღლეს განათლებას.

ESIB - ევროპის სტუდენტების ეროვნული კავშირები, როგორც ევროპელი სტუდენტების წარმომადგენელი ორგანიზაცია უნდა შევიდეს ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფში.

ESIB - ევროპის სტუდენტების ეროვნული კავშირები ვალდებულებას იღებენ გააგრძელონ სტუდენტების შეხედულებების პრეზენტაცია და მხარდაჭერა ევროპის დონეზე.